გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №21

2012 წლის 17 აპრილი

გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის დამტკიცების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ,,ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს №415 ბრძანებულების შესაბამისად

1. დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების თანდართული გეგმა.
2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზ. ხმალაძე

დანართი

გორის მუნიციპალიტეტის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა

ზოგადი მიმოხილვა

მუხლი 1

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა შემუშავებულია „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ,,ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს №415 ბრძანებულების შესაბამისად.

გეგმის მიზანია გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტში შემავალი სამსახურებისა და გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა იურიდიული თუ კერძო პირის საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში კოორდინაციის უზრუნველყოფა. გეგმის თანახმად უნდა შემუშავდეს ამ სისტემაში ჩართული სუბიექტების საგანგებო სიტუაციებზე სამოქმედო გეგმები, რაც გააადვილებს ერთიან მართვას მუნიციპალიტეტის მასშტაბით და ხელს შეუწყობს რეგიონულ დონეზე საგანგებო სიტუაციების მართვას.

მუხლი 2

გორის მუნიციპალიტეტის დახასიათება და მოსალოდნელი ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საფრთხეები.

ადმინისტრაციული ცენტრი: გორი
ფართობი – 2327,.2 კვ.მ;
კლიმატი – სუბტროპიკული ზონა;
წყლის ძირითადი არტერიები – ნაჭარმაგევის და კარალეთის წყლის
შემკრები სისტემა;
თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანო 27;
სოფელი –114
მანძილი თბილისამდე – 75კმ;
უახლოესი პორტი– ფოთი 250კმ, ბათუმი 300 კმ;
უახლოესი რკინიგზის სადგური – ხაშური;
უახლოესი აეროპორტი – თბილისის აეროპორტი მანძილი – 93კმ;

მოსახლეობა – 144919 კაცი,
სოფლად მცხოვრები მოსახლეობა, დევნილთა ჩათვლით – 91.9 კაცი;
მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა:
ქართველი – 92.8 %;
რუსი – 0.8%;
სომეხი –1.1%;
აზერბაიჯანელი – 0.4%
უკრაინელი – 008.%
ბერძენი – 0.07%
აფხაზი – 0.03%
ტყის ფართობი: – 42.3% 58.8ჰა.
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულების ფართობი: –
51.524.5 ჰექტარი.
გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსალოდნელია შემდეგი რისკები:
მეწყერი,
ქარიშხალი,
წყალდიდობა,
ხანძარი,
მიწისძვრა,
დიდთოვლობა,
სხვა საშიშროებები.

რეაგირების მართვა და საგანგებო დახმარების ფუნქციები

მუხლი 3

რეაგირების მართვა ხორციელდება საგანგებო შტაბის მიერ დახმარების ფუნქციების გათვალისწინებით, ამ სფეროში არსებული და სხვა დამხმარე კანონმდებლობის მიხედვით.

წარმოქმნილ საგანგებო სიტუაციებზე პირველადი მორეაგირე რაზმები ვალდებულნი არიან მუდმივ კავშირზე იმყოფებოდნენ გორის სამორიგეოსთან, შესაძლო ძალთა მობილიზაციისა და ესკალაციის გართულების აცილების მიზნით. არსებული საკითხის ერთ სისტემაში მოქცევის მიზნით საჭიროა პირველადი მორეაგირე ძალების ერთიანი ეთერი (სიხშირე), და ერთიანი საგანგებო ზარი, რომლითაც ისარგებლებს მოსახლეობა და ოპერატიულს გახდის პირველად რეაგირებას.

იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა რამდენიმე სხვადასხვა მორეაგირე ჯგუფის ჩართვა სალიკვიდაციო სამუშაოებში (მიუხედავად ავარიის ხასიათისა), დაუყოვნებლივ იკრიბება საგანგებო შტაბი.

საგანგებო შტაბი

მუხლი 4

საგანგებო შტაბი წარმოადგენს ადგილობრივ დონეზე მართვის ცენტრს, რომელიც კოორდინაციას უწევს საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციაში მონაწილე სუბიექტების საქმიანობას.

შტაბის სამუშაო ორგანოს, ყოველდღიურ სამუშაოებს და მის იმპლემენტაციას ახორციელებს გორის მუნიციპალიტეტის საგანგებო სიტუაციების სამსახურის შესაბამისი დანაყოფი.

შტაბი იკრიბება მინიმუმ წელიწადში ორჯერ, საგანგებო სიტუაციის წარმოქმნისას დაუყოვნებლივ. დამატებით შეკრების აუცილებლობას განსაზღვრავს შტაბის ხელმძღვანელი.

შტაბის შეკრების მიზანია:

– მუნიციპალიტეტის მასშტაბით განიხილოს: სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების არსებული მდგომარეობა, მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციის თავიდან აცილების, პრევენციის, რეაგირების რაციონალური წინადადებები;

– შეიმუშაოს სპეციალური პროგრამები მათი გადაჭრის მიზნით;

– უზრუნველყოს მოსალოდნელ საგანგებო სიტუაციებში უსაფრთხოება;

– საგანგებო სიტუაციების საკითხებში ფინანსური რეზერვების პრიორიტეტულობის გამოყოფის საკითხების განხილვა.

შტაბის წევრები კომპლექტდება რეაგირების გეგმის ფუნქციებიდან გამომდინარე, შტაბის ხელმძღვანელს შეუძლია დაამატოს წევრი თავისივე შეხედულებით.

შტაბის წევრების საქმიანობა არ ნაზღაურდება ბიუჯეტიდან.

საგანგებო შტაბი მოქმედებს რეაგირების გეგმის ფუნქციების მიხედვით და იღებს გადაწყვეტილებებს მოსალოდნელ ან შექმნილ სიტუაციებზე, რეგიონულ ან ეროვნულ დონეზე დახმარების ჩარევამდე, ესე იგი, მანამ, სანამ რეგიონულ ან ეროვნულ დონეზე არსებულ საკითხებში ჩართვა იქნება საჭირო, შემდგომ მოქმედების მართვა რჩება იგივე, ხოლო გადაწყვეტილების მიღება და ხელმძღვანელობა ხორციელდება ეროვნული რეაგირების მიხედვით.

შტაბის დაკომპლექტება ხორციელდება საკრებულოს განკარგულებით, დამხმარე ორგანიზაციები (კერძო სამართლის იურიდიული პირები) განისაზღვრება მემორანდუმით. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის ფუნქციების გათვალისწინებით. შტაბს ხელმძღვანელობს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, რომელიც გეგმის მიხედვით კოორდინაციას უწევს ადგილობრივ ძალებსა და საშუალებებს, კავშირზეა შსს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის ოპერატიულ მორიგესთან.

თავი IV
საგანგებო დახმარების ფუნქციები

მუხლი 5

საგანგებო სიტუაციების პრევენცია და ლიკვიდაციის ღონისძიებები ხორციელდება 9 ძირითადი ფუნქციის ამოქმედებით, თითოეული ფუნქციის კოორდინაციას ახდენს ძირითადი ორგანო დამხმარე ორგანოს მხარდაჭერით.

საგანგებო დახმარების ფუნქციები:

საგანგებო დახმარების ფუნქციები	**გასატარებელი ღონისძიებები**	**პასუხისმგებელი სამსახური, მისი ძირითადი ამოცანები**	**მხარდამჭერი ორგანიზაციები მათი ძირითადი ამოცანები**
ფუნქცია 1. საგანგებო მართვის უზრუნველყოფა	საგანგებო სიტუაციის ანალიზი და შეფასება	საგანგებო შტაბი	შსს საპატრულო პოლიცია, შსს გორის რაიონული სამმართველო, დაცვის პოლიცია, სასწრაფო სამედიცინო სამსახური 113, სურსათის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული სამმართველო.
ფუნქცია 2. კავშირგაბმულობის უზრუნველყოფა	უზრუნველყოფს კავშირის საშუალებებს ადგილობრივ დონეზე	გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური	
ფუნქცია 3. კომუნალური მომსახურება	უზრუნველყოს დაზიანებული წყალმომარაგებისა და სხვა კომუნალური მომსახურება	გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური	გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, შპს „გორის კეთილმოწყობის სამსახური”
ფუნქცია 4. სახანძრო-სამაშველო	სახანძრო-საავარიო (ხანძარი, წყალდიდობა, დატბორვა) სამაშველო ოპერაციებში მონაწილეობა,	გორის მუნიციპალიტეტის სახანძრო-სამაშველო სამსახური, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის	საპატრულო პოლიცია, სასწრაფო სამედიცინო სამსახური113, შპს „გორის

	მომსახურება	სამსახური.	კეთილმოწყობის სამსახური”
ფუნქცია 5. სამედიცინო უზრუნველყოფა	ადგილობრივ დონეზე სამედიცინო და ჰოსპიტალური მომსახურება	გორის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	
ფუნქცია 6. ევაკუაცია	ადგილობრივ დონეზე მოსახლეობის და ფასეულობის ევაკუაცია წინასწარ შედგენილი გეგმით	გორის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური, კულტურის, განათლების სპორტისა და ახალგაზრდული საქმეების სამსახური, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.	შსს გორის რაიონული სამმართველო, შსს შიდა ქართლის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლისა და მცხეთა მთიანეთის მთავარი სამმართველო, შსს დაცვის პოლიცია, სურსათის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველო. წითელი ჯვრის ორგანიზაცია. სსიპ – საჯარო სკოლები
ფუნქცია 7. მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფა	ადგილობრივ დონეზე მოსალოდნელი ეპიზოოტიის და პანდემიის პრევენციული ღონისძიებები	გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური, სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური.	შპს „გორის კეთილმოწყობის სამსახური” გარემოს დაცვისსამსახური
ფუნქცია 8. საგზაო და სატრანსპორტო უზრუნველყოფა	ადგილობრივი გზების დაზიანების შემთხვევაში აღდგენითი სამუშაოების ჩატარება	გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახური	შპს „გორის კეთილმოწყობის სამსახური”
ფუნქცია 9. საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა	ადგილობრივი დონეზე მოსახლეობისა და მათი ქონების დაცვის უზრუნველყოფა	გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახური, ადმინისტრაციული სამსახური	საპატრულო პოლიცია, დაცვის პოლიცია.